შპს „ენგურჰესის" თაღოვანი კაშხლის მარცხენა სანაპიროს კალთაზე მდებარე
კაბელამწის ესტაკადის ლითონკონსტრუქციების სადემონტაჟო და მისი შემდგომი
დასაწყობების სამუშაოების ჩატარების პროექტისა და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის
კონკურსის წესით შესყიდვაზე შეიქმნილი საკონკურსო კომისიის

სხდომის ოქმი 2

ქ. ზუგდიდი

6 ოქტომბერი 2014 წ

1. **ლევან მებონია** - შპს „ენგურჰესი"-ს დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე-სატენდერო კომისიის თავმჯდომარე
2. **ჯონი ჭანია** – შპს „ენგურჰესი"-ს თ/კაშხლის დეპარტამენტის თავმჯდომარე – სატენდერო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;
3. **ლევან ჭანტურია** – შპს „ენგურჰესი"-ს თ/კაშხლის დეპარტამენტის მთავარი ინჟინერი – სატენდერო კომისიის წევრი;
4. **ზვიად კილასონია** – შპს „ენგურჰესი"-ს ფინანსური მენეჯერი – სატენდერო კომისიის წევრი;

4. **გიგლა სამუშია** – შპს „ენგურჰესი"-ს თ/კაშხლის საწარმოო-ტექნიკური განყოფილების უფროსი – სატენდერო კომისიის წევრი;

**დღის წესრიგი:**

შპს „ენგურჰესის" თაღოვანი კაშხლის მარცხენა სანაპიროს კალთაზე მდებარე კაბელამწის ესტაკადის ლითონკონსტრუქციების სადემონტაჟო და მისი შემდგომი დასაწყობების სამუშაოების ჩატარების პროექტისა და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის კონკურსის წესით შესყიდვაზე გამოცხადებულ **(№1377)** კონკურსში მონაწილეთა მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადების დალუქული პაკეტების გახსნა და შერჩევა/შეფასება და გამარჯვებულის გამოვლენა.

**მოისმინეს:**

კომისიის თავმჯდომარემ – ლ. მებონიამ კომისიის წევრებს განუმარტა, რომ გამოცხადებულ კონკურსში წინადადების მიღების ვადის დასრულებამდე, საკონკურსო წინადადება დახურულ კონვერტში ერთი ორიგინალი და ერთი ასლი წარმოადგინა ერთმა კონკურსანტმა –შპს „ინტერპროექტმა"

კომისიის თავმჯდომარემ გახსნა კონვერტი და კომისიის წევრებს გააცნო კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაცია, კერძოდ :

- საგადასახადო დავალება;
- ფასების ცხრილი;
- ინფორმაცია ანალოგიური მომსახურების განხორციელების შესახებ;
- ინფორმაცია მომსახურების გაწევის ვადების შესახებ.
- მიღება – ჩაბარების აქტები და ხელშეკრულებები გაწეულ მომსახურებებზე;

საკონკურსო წინადადების ფასი შეადგენს 4800 ლარს დღგ ჩათვლით

საკონკურსო კომისიამ განიხილა შპს „ინტერპროექტის" მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და მოახდინა მისი შეფასება წერილობითი სახით

საკონკურსო დოკუმენტაციაში მოცემული 10 ქულიანი სისტემის შესაბამისად. შედეგად დაფიქსირდა შემდეგი:

| № | კომიის წევრი | საკონკურსო წინადადების ფასი კოეფიციენტი 0.7 | მომსახურების გაწევის ვადები კოეფიციენტი 0.3 | ჯამური ქულა |
|---|---|---|---|---|
| | ლევან მებონია | 0.7*10=7 | 0.3*10=3 | 10 |
| | ჯონი ჭანია | 0.7*9=6.3 | 0.3*8=2.4 | 8.7 |
| | ლევან ჭანტურია | 0.7*10=7 | 0.3*9=2.7 | 9.7 |
| | ზვიად კილასონია | 0.7*8=5.6 | 0.3*8=2.4 | 8 |
| | გიგლა სამუშია | 0.7*10=7 | 0.3*7=2.1 | 9.1 |
| | საშუალო ჯამური | | | 9.1 |

საშუალო ჯამური 9.1 ქულით სატენდერო კომისიამ ერთხმად გამარჯვებულად გამოავლინა შპს „ინტერპროექტი".

საკონკუროს კომისიამ დაადგინა:

1. შპს „ინტერპროექტი" გამოცხადდეს №1377 კონკურსში გამარჯვებულად.
2. შპს „ინტერპროექტი" მოწვეულ იქნას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაზე ხელის მოსაწერად 5 სამუშაო დღის ვადაში.
3. საკონკურსო კომისიამ უზრუნველყოს საკონკურსო დოკუმენტაციის გადაგზავნა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში გამოსაქვეყნებლად.

კომისიის თავმჯდომარე: ლ. მებონია

კომისიის თავ. მოადგილე: ჯ. ჭანია

კომისიის წევრი: ლ. ჭანტურია

კომისიის წევრი: ზ. კილასონია

კომისიის წევრი: გ. სამუშია